

სოციოლოგია I კურსი (ეკონომიკა, სამართალი და საერთაშორისო
ურთიერთობები) I,II სემესტრი 2017-2018 წელი

(I შუალედური ტესტირების ნიმუში)

კითხვა 1

რას შეისწავლის სოციოლოგია?

აირჩიეთ ერთი:

- a. საზოგადოების მიერ შექმნილ მითებს.
- b. საზოგადოების რეგრესს;
- c. საზოგადოების ცვალებადობის კანონებსა და ტენდენციებს;

კითხვა 2

რომელი მეცნიერებათა შემადგენელ ნაწილად მოიაზრება სოციოლოგია?

აირჩიეთ ერთი:

- a. ფილოსოფიურ მეცნიერებათა;
- b. უფოლოგიურ მეცნიერებათა;
- c. ქიმიურ მეცნიერებათა.

კითხვა 3

რა სფეროებს იკვლევს კერძო სოციოლოგია?

აირჩიეთ ერთი:

- a. მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის პრობლემებს.
- b. ოჯახის, რელიგიის, ახალგაზრდობის, პოლიტიკური პარტიების პრობლემებს;
- c. ადამიანის ბიოლოგიურ დაავადებათა პრობლემებს;

კითხვა 4

რაში მდგომარეობს სოციოლოგიის ამოცანა?

აირჩიეთ ერთი:

- a. ახალი ტრადიციების დამკვიდრების გზების ძიება;
- b. კოსმოსური სივრცეების კვლევა;
- c. თეორიული კვლევა და მოპოვებული მასალის პრაქტიკული რეალიზაცია.

კითხვა 5

განვითარებულ ქვეყნებში რამ მოუპოვა წარმატებები და ავტორიტეტი სოციოლოგიას?

აირჩიეთ ერთი:

- a. ადამიანების ლტოლვას სიახლისადმი;
- b. სოციოლოგიის პრაქტიკულმა დანიშნულებამ;
- c. სოციოლოგიის ისტორიულმა ხასიათმა.

კითხვა 6

რაში მდგომარეობს სოციოლოგიის შემეცნებითი ფუნქცია?

აირჩიეთ ერთი:

- a. იმაში, რომ იკვლევს ბავშვების აღზრდის კანონზომიერებას;

- b. იმაში, რომ იკვლევს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას;
- c. ადამიანთა ინტელექტუალური განვითარების ხერხებს და მეთოდებს.

კითხვა 7

რა იწვევს სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქციის ზრდას?

აირჩიეთ ერთი:

- a. ადამიანების ლტოლვა სიმდიდრისადმი;
- b. საზოგადოებრივი ცხოვრების კომპიუტერიზაცია.
- c. თანამედროვე რთული საზოგადოებრივი ურთიერთობები;

კითხვა 8

რაში გამოიხატება ბიოლოგიური მიმართულების არსი სოციოლოგიაში?

აირჩიეთ ერთი:

- a. ბიოლოგიური კანონზომიერების უარყოფაში.
- b. საზოგადოებაში მოქმედი კანონების ბიოლოგიის კანონებთან გაიგივებაში;
- c. სოციოლოგიის მიერ ბიოლოგიური ორგანიზმების კვლევაში;